

გაგაგასიონი

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი

№ 41 (335)

შანი 40 თათრი

გუშინ

საქართველოს

მოუკვდა

გოგი

დოლიძე!



არ გაუბრკელდეს რუსეთის „სამშვიდობო კალაშ“ მანდატი —

ეს იყო გუშინ გაგართული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სუსის ლაიტმოტივი.

ესეია გახსნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა. მან დამსწრე ქალბატონებს მიულოცა 8 მარტი, ასევე დარბაზს სთხოვა ნუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ყიული მარტავასა და გენო ადამიას ხსოვნისთვის. პირველის დაბადების დღე იყო 7, ხოლო მეორისა —

8 მარტი. თამაზ ნადარეიშვილმა ნაიკითხა მოხსენების პროექტი, რომლითაც იგი უნდა წარსდგეს საქართველოს პარლამენტის 14-15 მარტის სხდომაზე. ამიტომაც, საჭიროდ მიიჩნია მხედველობაში მიეღო როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, ასევე მონეული სტუმრებისა და დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა აზრი. ორატორმა აღნიშნა, რომ „არძინბას ფაშისტურ-სეპარატისტული რეჟიმი სამშვიდობო ძალების სიძულებითაა შენარჩუნებული; გამოთქვა სურვილი, დეზაუირებულ იქნას ყველა ის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც საზიანოა ჩვენი ქვეყნისთვის; უპერსპექტივოდ მიიჩნია აფხაზეთის



გაბრკელება იმ 2 გ.

დახმარება — 10 მილიონი დოლარი

ქინვალის პიდროლექტროსადგურზე გამყვანი გვირაბის მშენებლობას მონაწილეობა 10 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი, რომელსაც გამოყოფს ირანის ენერჯეტიკის სამინისტროს კომპანია „სუნირი“. გუშინ დეპარტამენტ „საქენერგოში“ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, საქართველოს სათბობენერგეტიკული კორპორაციის პრეზიდენტის, დეპარტამენტ „საქენერგოს“ თავმჯდომარის დავით ზუბიტაშვილისა, და მეორე

მხრივ, ირანის ენერჯეტიკის კომპანია „სუნირის“ მენეჯერის რევე მელად ლუსტის მიერ. კრედიტის გამოყოფა ენერჯეტიკის დარგში საქართველოს პრეზიდენტის ელდუარდ შევარდნაძესა და ირანის პრეზიდენტის, ალი აქბარ პაშეში რაფსანჯანის შორის შეთანხმების საფუძველზე, ირან-საქართველოს თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება. გვირაბის პროექტირება და მშენებლობა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დაიწყება და

დაახლოებით ორ წელიწადს გასტანს, რის შემდეგაც ქინვალის პიდროლექტროსადგურს საშუალება მიეცემა იმუშაოს სრული დატვირთვით და ელექტროენერჯის სისტემას 130 მეგავატი სიმძლავრე მიანოდოს. ხელშეკრულების პირობები ურთიერთხელსაყრელია. მომავლისთვის ენერჯეტიკის დარგში ირან-საქართველოს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება.

ივრინდა

ნაღვის აფეთქების ექო


უკვე ვიუწყებოდით, რომ 5 მარტს გალის რაიონის სოფელ პრიმორსკში ტანკსაინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა ავტომობილი, რომელიც იმყოფებოდნენ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის დაჯგუფების მეთაური ვლადიმერ ანუა და სამი აფხაზი ოფიცერი. „ვესტის“ ცნობით, ამ აქტში, აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრალი დასდო საქართველოს ხელისუფლებას. იგივე აზრი აქვს აფხაზთა თავდაცვის მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტ სოსნალიევს. აფხაზთა სამხედრო უწყების ხელმძღვანელის თქმით, ტერორისტული აქტის მიზანი საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლა და ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების განახლება იყო. „საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ამით დისკრედიტაციას გაუწევს რუსეთის „ცისფერ ჩაფხუტებს“, მოახერხებს მათ გაყვანას კონფლიქტის ზონიდან და შემდეგ შეცვლის ჩრდილოეთატლანტიკური სამხედრო ალიანსის კონტიგენტი“, — აცხადებს სოსნალიევი.

ნომერები

ციხე (დასასრული, დასაწყისი იხ. წინა ნომერში)

„მე-მე? რისტოვის?“

იქნებ, მათ უბედურებაში ჩვენ ყველას სათითაოდ მიგვიძღვის ვვლილი?!



ჩაკეტილ სივრცეში არსებობა აშკარად მოქმედებს ფსიქიკაზე. ისე კი, იქ ყველამ თავისი ადგილი იცის. კონტინგენტი გაშუღებით იცვლება, ერთნი მიიყაფო, მეორენი მოიყაფო... სხვადასხვა ჯგუფის მთელი სპექტრი კი თითქმის ყოველთვისაა, დანყებული იმათგან, ვინც ყველაფერს არეგულირებს და დამთავრებული სხვებით, ვინც არაფერზე ამბობს უარს...

აქ ცუდი ისევე ცუდია, როგორც გარეთ, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თუ გარეთ ამას ყურადღებას არავენ მიაქცევენ, ან ეპატიებათ, აქ ყველაფერზე სასტიკად მოეთხოვებათ პასუხი — ყველა სიტყვაზე და მოქმედებაზე, სამაგიეროდ, აქ კარგიც უფრო მეტად ფასობს.

იხილეთ იმ 4 გვ

მოკლედ

საბაჟო სამსახურის ახალი უფროსი

რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა თბილისის საბაჟო სამსახურის უფროსი თენგიზ აბულაძე.

ნაკონია მთელი არსენალი

უშიშროების წაღწევის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა, რაიონის სოფელ მუქალას გარეუბანში მიტოვებული დანგრეული სახლის სარდაფიდან ამოიღეს მინაში ჩამარხული საბრძოლო მასალები. ნურსის ქუჩები — 15 ცალი, ტყვიამურქვევის ვაზნები და სხვ. აღსანიშნავია, რომ 1993 წლის ცნობილი მოვლენების დროს სოფელ მუქალას ტერიტორიაზე იმალებოდა ექს-პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და საბრძოლო მასალებიც სწორედ იმ დროსაა ჩამარხული.

ივრინდა

ახალი საზღვარგარეთი

ბროზნო — მკიძე ბრძოლების ასპარეზი

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გუშინ დილისთვის, სიტუაცია გროზნოში შედარებით მშვიდი იყო. აქტიური ბრძოლები აღარ წარმოებდა, თუმცა, ქალაქის ზოგიერთ რაიონში კვლავ მიმდინარეობდა სროლა. ოფიციალური მონაცემები ორი დღის მანძილზე რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთების დანაკარგის შესახებ ასეთია: დაღუპა — 70, დაიჭრა — 160, 40 სამხედრო მოსამსახურე კი უზბოუკვლად დაიკარგა.

მუშინ დღით გროზნოში შევიდა ფედერალური ჯარების ჯგუფიანი ტექნიკის კოლონა. რუსი სამხედროების მთავარი ამოცანაა, შეინარუნონ ქალაქის ცენტრში დაკავებული პოზიციები და გააძლიერონ სამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა. ინტერფაქსის ცნობით, ფედერალური ჯარები, გუშინ, დღის პირველი ნახევრისთვის აკონტროლებდნენ გროზნოს ცენტრალურ ნაწილს. დუდაევის მომხრე შენაერთების მებრძოლები კი კვლავ მოედან „მინუტკაზე“ არიან დაბანაკებული. სააგენტო „ფრანს პრესის“ მონაცემებით, გუშინვე, ურსეთის 30-მდე ტანკმა გადაკეტა ზაგავეის რეზიდენციისკენ მიმავალი ქუჩები, ჯარისკაცებმა კი დაიკავეს პოზიციები უშუალოდ მთავრობის სახლის წინ. როგორც ფედერალური ძალების ხელმძღვანელი, მისი წარმომადგენელი იუწყება, 200-მდე რუსი ჯარისკაცი და ზაგავეის მომხრე ჩეჩენი პოლი-

გაბრკელება იმ 2 გ.

პარტიული ოპოზიციის

ადამიანის უფლებათა სახალხო დამცველის

მსოფლიო

სამიტი ავიაკომპანია

საერო-სამხარეთო კომპანია, 13 მარტს... ავიაკომპანია, ამ ქვეყნის პრეზიდენტის ხოსნი მუბარაკის...

აზრის სანქციების მოხსნას მოითხოვს

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის... მოითხოვს ავიაკომპანიის საბჭოს შემოღებული აქვს სანქციები...

თურქეთში ხელისუფლება შეიცვალა

თურქეთის პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა... თანხს ჩილერმა ოფიციალურად გადასცა ხელისუფლება...



ყოფილი პრემიერი თანხს ჩილერი

გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ადამიანის უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების და უფრო...

სახალხო დამცველის ("ომბუდსმენის") ინსტიტუტი წარმოადგენს... სახალხო დამცველის ("ომბუდსმენის") ინსტიტუტი წარმოადგენს...

ბატონ სანდრო კავსაძის თქმით, იმისთვის, რომ სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა... ბატონ სანდრო კავსაძის თქმით, იმისთვის, რომ სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა...

სახალხო დამცველის ხუთი წლის ვადით ირჩევენ. ინვალიდთა და ვეტერანთა „წმინდა თამარ მეფის ორდენის“ წარმომადგენლები შემოვიდნენ წინადადებით, რომ კარგი იქნება, თუ ერთხელ არჩეული სახალხო დამცველი სიკვდილამდე შეასრულებს თავის მოვალეობას.

სახალხო დამცველის ფიცი

„აქამდე, ადამიანთა საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებრივი საწყისი საფეხი იქნებოდა ექსპერტთა საბჭო. მის შემადგენლობაში შეყვანილი იყვნენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელები ან წევრები, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავენ, აგრეთვე მაღალი ზნეობით და საზოგადოებრივი ავტორიტეტით გამოჩენილი პირები. ბატონ სანდრო კავსაძის თქმით, თუ სახალხო დამცველს „მოდარაჟე ძალს“ უწოდებენ, ექსპერტთა საბჭო უნდა იყოს ორგანო, რომელიც თვითონ სახალხო დამცველს უდარაჯებს და არ მისცემს მისი უფლებების ან...

შეცდომის საშუალებას. იმისთვის, რომ სახალხო დამცველს რეალური ძალა ექონებოდეს, მას უფლება აქვს ნაატარო მოქმედება დამოუკიდებლად და დაეხმოს მოქალაქის ჩატარებას კომპეტენტურ ორგანოებს, დამოუკიდებელ ექსპერტებს, და უბრუნებლად შევიდეს წევრების შერჩევის პროცესში. ორგანიზაციაში, კერძო სტრუქტურაში, სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, სამხედრო და დაწესებულებებში, წინასწარი დაკავების და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მოითხოვოს და შეიძლოს არასახელმწიფო ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების, სახელმწიფო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, იქ დასაქმებულ თანამშრომლების და კერძო საერთაშორისო უწყველ საჭირო ცნობის საბუთი და სხვა მასალა; ორგანიზაციის თანამშრომლების პირი, რომელიც მიიღებს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წარდგინებს, ვალდებულია, ერთი თვის ვადაში განიხილოს და დაწერილობით ფორმით გაუგებრობის დამცველს პასუხს; რეკომენდაციის ან წარდგინების შემსრულებლობა, შესრულების განხრავს გაჭიანურება ან შესრულებისთვის თავის არიდება ისევეა კანონით.

კანონმდებელი ითვალისწინებს, რომ სახალხო დამცველთან იქნება სამუშაო აპარატი — საქართველოს ადამიანის უფლებათა ცენტრი. ომბუდსმენი დაინიშნება როგორც რეგიონებში, ისე ცალკეულ სფეროების მიხედვით: ადამიანის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა, ადამიანის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებათა, პატიმრის უფლებათა და სხვა.

როგორც ბატონმა სანდრო კავსაძემ განაცხადა, კანონმდებელი სახალხო დამცველის შესახებ პარლამენტმა პირველ კვარტალში უნდა განიხილოს; სახალხო დამცველის არჩევა კი კანონის მიღების შემდეგ მალევე უნდა მოხდეს.

სოზარ სუბელიანი

ახალი საზღვარგარეთი

ბროზნო — მკიძე ბროძის ასპარეზი

ბროზნო — მკიძე ბროძის ასპარეზი... ციელი სტაროპრომოსლოვსკისა და საქარხნო რაიონების ტერიტორიაზე ალყაში აყვავდნენ დუდაევის მომხრეებს. ისინი, მესამე დღეა, უშედეგოდ ცდილობენ ალყის გარღვევას. ბლოკირებულია, აგრეთვე, ამ რაიონების სამხედრო კომუნდატურებიც. ზავდადების ადმინისტრაციის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე აცხადებდა, რომ დღის მეორე ნახევარში, ინიციატივას ხელში აიღებდნენ ფედერალური ძალები. მისივე თქმით, „ბოევითა ძირითადად ნაწილმა დატოვა ქალაქი“. დანარჩენების განადგურების ოპერაცია კი დაგეგმილია და მას ჩეჩენ-

თის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები განახორციელებენ. პროგრამა „ვესტიმ“ უარყო „ურანს პრესის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციები დუდაევის მომხრეების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის ბლოკირებისა და საპატრულო — საგუშაგო სამსახურის თანამშრომელთა დუდაევის მხარეზე გადასვლის შესახებ.

გუშინ, დღით, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ანატოლი კულიკოვი და ჩეჩნეთის მთავრობის მეთაური დოკუ ზავაევი გროზნოში ჩაფრინდნენ. ისინი, რასაკვირველია, შეეცდებიან, განახორციელონ ის მითითებები, რომელიც რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე უშუალოდ ბორის ელცინისგან მიიღეს. ამასობაში, რუსული წყაროების მონაცემებით, ფედერალურმა ჯარებმა სერნოვოდსკის რაიონში შეწყვიტეს სროლა. გუშინ, დასახლებას რუსი სამხედროები აკონტროლებდნენ, ისინი არ აძლევდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს სერნოვოდსკიდან გასვლის უფლებას.

შოაზადა ირინე ლეპანოვიძე

გაბრუნდა აფხაზეთი

პრ. ბაუბრძელის რუსეთის „სამშვიდობო ძალებს“ განდობა

3063300 ბაზრადან... საკითხის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით მოგვარება, რასაც დარბაზი, ძირითადად, დაეთანხმა, შენიშნები გამოთქვას ბორის ელცინისგან და გენო კალანდიაძემ, ასევე სიტყვიერ გამოვიდნენ ბატონები: ანზორ ლაცუზაბაია, ჯანო ჯანელიძე, ალექსანდრე ჯიქია, კიმი ჯაჭვლიანი, თემურ ლორთქიფანიძე, მალხაზ ბარამიძე, აკაკი გასვიანი და სხვები.

ბორის ელცინისგან და თამაზ ნადარეიშვილს შორის გაიმართა პოლიტიკა. პირველი ითხოვდა გარანტიებს, იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტი თვითნებურად არ გააძლიერებს მოლაპარაკებას რუსეთის წვლილს უფლებასთან სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის ვადის გაგრძელების თაობაზე.

შესვენების შემდეგ გამოსულმა ჯგერალ გამახარია, რომელიც იმეითადა ექსპერტთა თურმე სესიებს, შენიშნები გამოთქვა მოხსენების იმ ნაწილის გამო, სადაც საუბარი იყო ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებების მოქმედების შესახებ.

დარბაზი მას არ დაეთანხმა სიტყვიერ გამოვიდნენ ბატონები: ვახტანგ ყოლბაია, ჯონი ეგუზაბაია, შალვა ხოფერია, ბესიკ ფანცულაია, ილია არჯანია, რევაზ გერგელაია და სხვები.

7-მუნქტინი ადგილობრივ პროექტი ხესიამ ერთხმად მიიღო. მეორე საკითხი შეეხებოდა აფხაზეთის ბიუჯეტს, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ფინანსთა მინისტრი ბესიკ ნაყოფია. მან განმარტული გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთის მინისტროს საბჭოს საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს ექვთი მილიონი ლარი, ხოლო ქვეყნის ლტოლვილთა სამინისტროს — 36 მილიონი ლარი. ბესიკ ნაყოფიას ანგარიში აპარატის შესანახად და სხვა სამეურნეო საქმეებისთვის 700 000 ლარია საჭირო, ექვთი მილიონი მოთხოვნილება მხოლოდ 60 პროცენტითა და კმაყოფილებული.

საბოლოოდ, ხესიამ მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ბიუჯეტი.

გამუკა ალამი

პრეზიდენტის პრეზიდენტი საქართველოში

ერთპიროვნული კონსტიტუციის პრეზიდენტის ტერიტორიული მოხელეობით გაფორმდა...



დღის კმაყოფილებით აღნიშნა შეიქმნა ალიევის ლენლი აზერბაიჯანის ნათობის ტრანსპორტირების დასაქმური პროექტის მხარდაჭერაში.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ისაუბრა იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებმაც კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარება უნდა უზრუნველყო.

შეიქმნა ალიევა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს ტერიტორიული...

იმავე დღეს ხელმოწერა იქნა ხელშეკრულებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს და აზერბაიჯანს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას.

გუშინვე შეიქმნა ალიევა და ედუარდ შევარდნაძემ პრეკონფერენცია გამართეს. საქართველოს პრეზიდენტმა მალაღობა შეფასება მისცა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჩამოსვლას და მის ვიზიტს...

ორივე ქვეყნის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს.

აზერბაიჯანის ნათობის სა-

ხელმოწერილია ვნიშნელოვან დოკუმენტთა პაკეტი

პრობლემას, საეკონომიკური კავშირების გაფართოებას, შეხვედრისას შედგა ოქმი, რომელიც საფუძვლად ჩაუყარს ახალ გადამწყვეტილებათა პაკეტის ხელმოწერას.

პუშკინტარულ დახმარებებს შეეხება, ხელს მოახერხებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეგულირება და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლევიშვილი.

დან აზერბაიჯანის ნათობის ტრანსპორტირებას, რაც, მისი თქმით, სამომავლოდ ორივე ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას შეუწყობს ხელს.

კონფერენცია

მხოლოდ საარსებოდ უსცილებელი უზრუნველყოფის დახმარებით ქვეყნის აღდგენა უზრუნველყოფილია

გაეროს პუშკინტარულ საქმეთა დეპარტამენტმა სასტუმრო „მეტეხში“ კავკასიის რეგიონალური კონფერენცია ჩაატარა. კონფერენციაზე მიმოიხილეს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

დღის დასრულებამდე მომზადდა სამინისტროების, განვითარებად ქვეყნებში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალურ-დარგობრივი სექტორების სპეციალისტების და გაეროს ორგანიზაციების ანგარიშები, რომლებიც დაემატება საბოლოო სექტორულ ანგარიშებს.

ნიტარულ საქმეთა დეპარტამენტის კომპლექსური გადაუდებელი დახმარების განყოფილების დირექტორმა მანუელ არანდა და სილვამ განაცხადა, რომ „1995 წელს საქართველოსთვის უზრუნველყოფა დახმარებამ, დაახლოებით, 30 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა.

მსოფლიო

დოული იმედოვნებს


რესპუბლიკელთა ლიდერმა აშშ-ის სენატში ბობ დოულმა წინასწარი არჩევნები მოიგო რვა შტატში და დამტკიცა, რომ თანაპარტიელთაგან პრეზიდენტის...



რობერტ დოული — აშშ-ს მომავალი პრეზიდენტი?


დათარსული «კოლუმბია»

22 თებერვალს გაშვებულ ამერიკულ სომალდ «კოლუმბიას» კოსმონავტიკის სერიოზული ტექნიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ჯერ კიდევ სტარტის დროს კოსმოსური სომალდის ძრავი მწყობრიდან გამოვიდა, რასაც შემდგომ კოსმოსში ბაგირის განყვეტის გამო, იტალიური თანამგზავრის გაუჩინარება მოჰყვა.




არჩევნები ირანში

გუშინ ირანში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. რეფორმატორები, რომლებიც შეჯლისის წინა შემადგენლობაში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ამჟამად ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობენ.



აზიციკაპელი განმარტება

6 მარტს გაზეთ «კავკასიონში» გამოქვეყნდა სააგენტო BGI-ს ინტერვიუ თბილისის პოლიციის შეფთან დემურ მიქაძესთან. BGI-ს კომენტარში, რომელიც ინტერვიუს წინ უძღვის, ნათქვამია: «კორესპონდენტმა ვიკა ქავარაძემ 6 მარტს დემურ მიქაძეს დაუსვა შეკითხვები».



ბუთა ქურდოვანიძესთან დაკავშირებული შეკითხვა, სხვა კითხვებთან ერთად რეგს მიერ იქნა დასმული. ინტერვიუ ბუთა ქურდოვანიძესა და დემურ მიქაძის ვაჯზე არ ეკავება, ჩემი კითხვით არც მეგობრების და არც მამა-შვილის დაპირისპირება მიზნად არ მქონია, ამიტომ სამი კვირის შემდეგ კვლავ ამ თემისკენ მიტრიალება მიზანშეწონილად მიმაჩნია.

სახელი ურიდონაშვილი

კოლ მერლენი

გ რენე შემოქმედება ნახევარტონზეა. მის ოცნებას მხოლოდ „ნარდილი“ ხიბლავდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი სიმბოლისტი იყო. „მაშინ თავად სინამდვილე იყო სიმბოლისტი, ცვალებადი და შფოთიანი“ (ბ.ასტურნაი).



VII

პრილი

ანდრო ბუაჩიძე

შოთა იათაშვილი



გთავაზობთ ორ მოთხრობას, რომელთაგან ერთი ექვსი წლის წინაა დაწერილი, ხოლო მეორე სულ ახლახანს. განსხვავება (ფორმისეული, ენობრივი) მათ შორის თვალშისაცემია, თუმცა ისინი მაინც შეიძლება ჩაითვალოს ერთი თემის ვარიაციებად. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, დააკვირდეს, თუ როგორ ხდება თემის განვითარება-ლაკონიზაცია ერთ კონკრეტულ, სწორხაზოვან სიუჟეტზე

აგებული ადრეული მოთხრობიდან ბოლო პერიოდის აბსტრაქციამდე მიუვანილ მოთხრობამდე. პუბლიკაციას ვუძღვნი ჩემთვის ძვირფას ყველა ქალს და კიდევ უბრალოდ ყველა ქალს მთელს დედამიწის ზურგზე.

IV V

შემოდგომა დასაკრიველად აგარაკზე

აი, ფერადი შემოდგომა, აი ფანქარი, თითქოს ვიღაცა ამ სურათებს უხმოდ აფასებს, გამოღწეული ლაფვარდიდან სხივთა ამქარი, გადახზული ხეებზე და ფანქრის რაფაზე.

ურთ აგარაკის ფანქარაში საკვამურიდან მოხვედრილი ბუ ტყის სევდიან ნათელს უფურებს, ასე თენდება და ღამდება დაკარგულისთვის, ასე იღვწავს აგარაკზე ეს საუკუნე.

ამოება ფრინველების გადაწერილი, ამოება ტყეების და აგარაკების, ჩემი ღიმილი წატეხილი ფანქრის წვერივით და ფანქრის წვერზე კიდევ ბევრად არანაკლები.

რატომ წახვედი? ხომ ჯობდა არ წახულიყავი. რატომ მოხვედი? ჯობდა ადრე მოსულიყავი. უხმოდ ადექი და აკრიფე შენი კალთები და ეს ცხოვრება განიძარცვე, როგორც ნიღბი.

კვირის

III

ბიორბი ბაჩვი

თვალსაზრისი



სამართველოს კოსმოსოფია

გიორგი გაჩევი პოლიტიკოგრაფის, ცნობილი ესთეტიკის, მუსიკათმცოდნისა და ლიტერატორის დიმიტრი გაჩევის ვაჟია. მან მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ინტერესთა ფართო სპექტრი და სინთეზური ანალიზის მეთოდი.

გიორგი გაჩევი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, მრავალი წიგნის ავტორი. მთავარი ნაშრომი, რომელსაც იგი წლების განმავლობაში გატაცებით ქმნიდა, მსოფლიოს ნაციონალურ სახეებს (მოდელებს) ეძღვნება. ეს წიგნი ნაციონალურ კულტურათა ცინცხალი ფილოსოფიური აღქმის ტრადიციას აღორძინებს. გიორგი გაჩევი იკვლევს ღრმა მატერიალურ თუ სულიერ მიზეზებს, რომლებიც ნაციონალურ კულტურას განაპირობებენ.

კვლევის გაჩევისეული მეთოდი არაორდინალურია. მას საფუძვლად უდევს არა ფორმალური ან დიალექტიკური ლოგიკა, არამედ მხატვრულ-ფილოსოფიური ინტუიცია. ფილოსოფიური და მხატვრული სახეებით აზროვნების სინთეზი, იქნებ ყოველთვის ვერც მიიღწევა, მაგრამ უდავოა, რომ გაჩევის შრომები თანამედროვე კულტუროლოგიის ახალ პერსპექტივებს სახავს. გთავაზობთ საქართველოსადმი მიძღვნილი წერილის შემოკლებულ ვარიანტს.



II

მეამკვიდრეობა

ნოვალისი გოეთეს უსსახე

ახალი თარგმანები

ფერნანდო პესოა (1888-1935)

კინ დეი

ს ჩემი ბოლო ჩანაწერია დღიურში. თავისი საიდუმლო ქალღალს მიანდო, იქნებ ვინმე ვირადაც ჩამთვალოს, მაგრამ ერთი მაინც დარწმუნებული ვარაა - კანონი მე ვერაფერს დამაკლებს. ეს ამბავი გასულ ზაფხულს დაიწყო, ხერხს მთებში მდებარე ესტრელას ტბის ნაპირას. კურირტი მარტოხელა ქალებით უფრო პირდაპირ ბანაობდნენ, დიდიან დაღამებამდე კაჭკაჭებივით ლაქლაქებდნენ და ენაგურეზილივ ჰყვებოდნენ, დროს აქ როგორ საუცხოოდ ატარებდნენ, თუმცა, აშკარად ეტყობოდათ, რომ მოწყენილობისაგან ლამის სული სძვრებოდათ.


ჩემი მთავრობების წყაროდ ავირჩიე ერთი უშნო უშნო ქვრივი ქალი - სარა პარკერი, ოღონდ წინასწარ დაეზუსტე რამდენად მყარი, ანუ საიმედო იყო მისი ფინანსური მდგომარეობა.

კუგზავნი ვარდებს და, როგორც თავყვანისმცემელს შეეფერება, ყურადღებას არ ვაკლებდი. მრეცხავის ხელებანი (რომელთა სივრცესაც თვით თითებზე წამოცმული უამრავი ბრილიანტი კერ პურავდა), ორმოც წელს გადაცილებულ ქალს თავიდან მხოლოდ ართობდა ჩემი არმეობა, მერე სიხარულით ლეღობდა - ჩემამდე ხომ სიასლოვესაც არასოდეს გამკარებოდა ექვსი ფუტის სიმაღლის, თამბეკერცხილი, დაწყობილუკა-შეიანი, დახატული მამაკაცი და აი, მადლიერება თანდათან გზნებარე სიყვარულად ექცა, რამაც ქალი კიდევ უფრო გაასუფელა და როდესაც გამოუტყდი, მიყვარხარ, მინდა სულ შენს გვერდით ვიყო, შენზე ვიზრუნო-მეთქი, ვერაფერს დაიჯერა.

სეკვი ორი თვის დაქორწინებულები ვიყავით, როდესაც გამოირკვა, რომ აწვანსვენებულ მისტერ პარკერს არცთუ ისე დიდი ქონება დაეტოვებინა. მაგრამ გარდა ფულისა, სან-ფერნანდო უილის მანლობად სარას ერთი კარგა მოწოდებითი მკვლევარი ქვითკირის სახლიც ჰქონდა, სადაც შეგვეპოო, კომფორტულად გვეცხოვრა. კაცმა რომ თქვას, მე მეტი არც არაფერი მიხდოდა. თავიდან მოკვლა აზრადც არ მომხვლიდა. სარა ალბათ ასევე ცოცხალი იქნებოდა, რომ არ აუხირობინა, გინდა თუ არა, უნდა იმუშაო, ოჯახს უნდა შემატოო. მე კი, მოკვსვენებამ, მერხია, მისი მეუღლის მიერ ცემების ბლოკების წარმოებით მოკრივილი ითხმოდესა-ხუთმეტი ათასი დოლარის ფასიანი ქვადლების დივიდენდებით შეცხოვრა.

ის, რომ არავითარი რანხი, არავითარი ხუთათასი აკრიპინა, არავითარი ათასხელანი მსხვილფეხა პარკეტის ნახარი

საკვირად საკითხავი



მცირე დატეხილი

არ გამანდა, სარამ ჩვენი ქორწინებიდან მხოლოდ სამი თვის მერედა შეიტყო და მაშინლა მიხვდა, რომ მთელი ის მონამაზი ჩემი სიმღერის თაობაზე მხოლოდ იმიტომ დამკვირდა, ჩემს მიერ დაგებულ მასში შემოტყუებინა.

ახლაც კარგად მახსოვს ის დღეა იმხანად სასარჯავო ფული შემოძეოდა და ვითხოვე ცოცხალი კიდევ მოეცა. სწორედ მაშინ გახდა ყველაფერი აშკარა. სარამ ჯერ ცოცხა წაიჭირა და ბოლოს მითხრა ყველაფერი გასაგებია ამას მე აღრეც უნდა მიემხლარაყავი ესედაც გრომიც არ გაუანხია. ნამდვილი ალფონსი

ხარ. შენ მე ფეხებზე გვიღვივარ, მარტო ჩემი ფულები გაინტერესებს, ცოცხად იმიტომ მითხოვე.”

ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, სასტიკად ვიყარე. როგორ აღარ ვარწმუნებდი მიყვარხარ, ანკარება აზრადც არ მომხვლია, მოტყუებით კი მხოლოდ იმიტომ მოვატყუე, შენი დაკარგვის შემთხვევა-მეთქი და, კიდევ ერთხელ დაიჯერა. ამწუთამაც თვალწინ მიღგას - ორმოცი წლის სიმსუქნეში წასული ქარკვეტა ქალი, სიყვარული რომ სწევრია და სულ იმაზე ოცნებობს, ვიდაცას უყვარდეს და თვითონაც შეყვარებული იყოს.

- მართალს მეუბნები, ჯეე? - არ მეშეება სარა, - მართლა გიყვარვარ? მართლა არასოდეს მიმატოვებ?

სხვა რა გზა მაქვს? იძულებული ვარ შევეფიცო, მუდამ შენთან ვიქნები, არასდროს მივატოვებ-მეთქი. ამ ფიცის შემდეგ სარა, როგორც იქნა, წყნარდება, მაგრამ მე უნდა ავითვისო - მოკლედ, უნდა ავითვისო! აქამდეც ავევროთქვლებოდი, ცხოვრების მცირეოდენი სახსარი რომ მქონოდა. ის კი ფულს ხელიდან არ უშვებს, სამთხოვროდ ირთილე გრომი როგორმე რომ გამოვტყუო, ვინ იცის, რამდენი უნდა ვეღრიჯო, თავი როგორ აღარ დავიმცირო. სამაგიეროდ, იმ უამრავ დისწულ-მისწულებს, რომლებიც სულ ჩვენს სახლში ტრიალებენ და ერთთავად ფეხებში გვედებან, ფულს სულ თავ-პირზე აკრის.

და აი, მეორეჯერ ჩხუპი სწორედ მისი დისწულის - კერლის გამო მოვივიდა. ისეთი გოცი იყო, თვალს ვერ მოამორებდი - ტანწერწეცა, ქერა, ახლად შეღებებული და ყვევილივით აფუქტებული.

კვირა დღე იდგა. მთელი ოჯახი მაგიდას ვესხედით, შუა სადილობაში ღვინო შემოგვაკვდა. ცარიელ გრავისს ჩელი რომ მოკიდდე კერალმა მოინდომა ღვინის ამისაჯანად თვითონვე გამოეყოლა სარდლში.

(ელი არ იქნება, სარდაფზედაც ვითხრათ ერთი-ორი სიტყვა. კაცმა რომ თქვას, მთელი ამ ამბის გზიაც სწორედ ეს სარდაფია!

იდაალური დანაშაული



VIII

ანდრო ბუაჩიძე


გარეთ სველ ქუჩას ქირხლი ედება და სიზმარით ბრწყინავს სისველეს;
დღეს მე არ ვიცი სად წავიქცევი, სად წავალ ანდა ვის გავიხსენებ.

ასეა, ჩემი დეკემბრის დილა უგემურ ნაღველს მხრებით მიათრევს,
ქირხლი ედება ამ სველ გამზირებს, სადალაქოებს და აფთიაქებს.

ანდა ავხედავ ხშირი თოვლიდან ნიხლის გროვაში გამჭრალ ცთომილებს,
არ მესმოება — რა მახარებდა, რა მაწულებდა, ვის ვეძებოდი.

დღეს ჩემს პატარა და ბნელ ოთახში არაფს დაფუსხამ მე ჩემს ძმაცაცებს
და კიდევ ერთხელ აღმოვაფლავებ ჩემს დღეებს, ყელზე გადანაკაწრებს.

აძლამ ალბათ ტყვია გახვრიტავს გარეუბანში მინას საქარეს,
აძლამ ბევრი საქმე ექნებათ ბებიებსა და ბებიაქალებს...



ანაქედებ ვარსკვლავებს,
სანამ წილადობილას
ყელზე გადამნასკვავენ,

სანამ ღამის უგრავი
ორთქლმავალი იკვლებს,
სანამ მოვრალი ქუჩაში
ქარზე ჩაიქირქილებს.

სანამ არაფს დაისხამს
მამადლი ქიქაში,
სანამ ასისხამდება
უკუნეთის შიგანი.

შეიძლება ვარსკვლავი
იმ ქიქაში ჩავარდეს —
გულზე გადანაკაწრი
ღამის მოიჭარადრე.

გახვეული ზეცაში
ღამის ცრუ აპათია,
ვარსკვლავს მინც ვერ წაშლის —
გუბებში ანთია.

მიჭრის ასე თვალღია
ამ ცხოვრების დღეები,
ზოგჯერ თავზე გავახია
ქრელი საკურთხეველი.



მსხვრეული კაცი

ქუჩაში ეგდო კაცი მსხვრეული,
როგორც უაზრო ბედის ნასხლექი,
ქვაფენილებზე იდო სხეული
ვარსკვლავის სხივზე გადანასხვრევი.

ქუჩაში ეგდო კაცი მსხვრეული,
სიკვდილი უცებ გამოეჩინა,
მოვრალი, დაღლილი და დარღვეული
მისი სიცოცხლე წყვდიადს ეჭირა.

რა უაზროა ეს ვარსკვლავები,
ხოლო ღამე კი არის უშვერი,
ქარები კვანძებს გადანასკვავენ,
ქარი მოარჩენს ანდა უშველის.

ქუჩაში ეგდო კაცი მსხვრეული,
უკვე იქ იყო, უკვე ეძინა,
პირზე სიცილი ჰქონდა ცხებული —
ნავიანევიდ თუ გაეცინა.

ბნელი ქუჩები ჰგავდნენ დერეფნებს,
სადაც უეცრად გატყდა ნათურა,
სადაც აგდია კაცი მსხვრეული
და ქვაფენილზე ქარი ფათურობს.

სურდო შევრილი და შემცივნილი,
გაბრუებული მწარე თრიაქით,
გახვეულია ბინდში წრიულად
„ქუჩა, ფარანი და აფთიაქი“.

წაშლილი, როგორც გუბეში რკალი
და დარღვეული, როგორც რიკული,
იქ, მანსარდაში, ცხოვრობდა ქალი
მაღალი, ჩუმი და ტრაგიკული.

თითქმის გავიდა ეს საუკუნე,
ასე რთული და ასე მარტივი,
და შემოდგომა ავსებს უკუნეთს,
შემოდარცული ქრისტეს კვართით.

მართლა საკმაო ხანი გასულა,
დამძიმებულა შენი საპალნე,
დრო შენს მზერაში ნაღველს გაცურავს
და ვერცხლის ფარდას გადაგაფარებს.

ვილაცამ იცის აქ სიზმართლე, მაგრამ არ ამბობს.
ამის შესახებ კვარტალებში ყუფენ ძაღლები
და ამის გამო მიგროვდება მეც ეს ნაღველი,
რადგან ვილაცამ იცის რა თქვას, მაგრამ არ ამბობს.

მიდის დღე, მოდის საღამო და ღამეს მოველი,
ვერრას გამგები და მიმხვედრი, ვერრას მოველი.

შუალამისას წამოვდექი.
შუქი არ იყო.
მოვარეგადადვრილ მაგიდაზე ვეძებდი ღამფას.
და ცარიელი ოთახები მიდასტურებდნენ
ჩემი ცხოვრების უცნაურ და უბრალო ამბავს.

სკამს გადავაწვდი უცაბედად
და ჩემმავე ხმაურმა გამცრა.
ვილაც სუნთქავდა განათებულ კედლების მიღმა,
ცაზე ქალღიმილი შრიალებდა
დარღვეული ღრუბლების ნაცვლად.

და ვგრძობდი ისევ ბნელ კედლებზე ჩამოღვრილ ილბალს
რა უნდა მექნა.
წამოვდექი. შუქი გრ იყო.

სულის შებერვით გავადვივე ჩამქრალი ღამფა.
შორს, წყნეთის გზაზე მოციმციმე ელნათურები
წყნარად ჰყვებოდნენ სიკვდილის და სიცოცხლის ამბავს.

შენ გინდა იქით წახვიდე, სადღაც,
სასაფლაოს და ქარხნების იქით,
სადაც ცხოვრების უფერულ დამლას
ცვლის აღმაცერი ხეების რიგი.
შენ გინდა იქით წახვიდე სადღაც,
მოხრილიკებულ მინდვრების იქით,
სადაც ბეტონის უანგიან ნახრავს
ქარი ამაგრებს სუსხით და კირქვით.
შენ გინდა იქით წახვიდე, წახვალ,
სადაც უინვა წერს მინდორზე ვარსკვლავს
და ტოტებს შორის გაკვანძულ ნასკვად
ირმის ნახტომი ცაცხალებს მალდა.

ბარამი

ვილაცას ისევ აუტყდა ხველა
და თითქოს ქუჩებს დაეცა დამბლა,
ჩამავალი მზის სინათლე ხელათ
ჩამოქვეითდა ხეებზე დაბლა.
თითქოს დამთავრდა ამბავი უცებ,
სახლში წავიდნენ და წაუვით ჭავრი,
ქერქვეშ მიედის სუყველა სულგრძელს
ცხოვრება, როგორც ფიტული ჩალის.
ცხოვრება, როგორც „ნაძვისხის დრამა“,
ცხოვრება, როგორც ახალწლის ღამე,
ამაღამ გახსნის მილიონ დარანს
და დღესასწაულს აჩუქებს დღავებს.

საუბარი წყვდიადში

უნდა ღამეს ჩახელო
ანახველებ უიაში,
რათა გააჩხირო
საუბარი წყვდიადში.
საუბარი წყვდიადში,
ჩემი ნადავლი არის
უნდა გამესაუბროს
შავი ადამიანი.

წველიადი ფრთას დაგხურავს
ქარი გაგანადგურებს
და ზედ თავზე დაჭურებს
ვარსკვლავი ელსადგურებს.

ჩემი წილადობილა
ცის წილში ვარსკვლავი,
ძმობილად და დობილად
ციდან გამონასხლავი.

პროექტორი გასერავს
ღამეს, როგორც მუხურვე
და მე კი აღმაცურად
ვეფურცლავ თავთხელ რვეულებს, —

რომ რვეულში გავკიდო
ნაჩივარი ირიბად,
რომ ღამე არ გაჭირდოს
ამომსკლარმა ყვირილმა.

ელსადგურებს დაჭურებს
თავზე ციციქნა ვარსკვლავი,
მე კი ნაღველს ვახურებ
უკვე გულზე გამსკდარი.
და სულ მინდა ვხედავდე

ღამე ღიღმის სასაფლაოზე

ეს ვინ დაუარა შენს საფლავზე დაუდევრად ეკლიანი თეთრი
ვარდები
როგორც სიცოცხლის სიმბოლოები და როგორც ვნების ნარჩენები
გადმოსროლილი
მე მაშინ მძინავს, როცა ღამეა უკანასკნელი შენი თავდები
და მთვარის შუქი ჩასობილი გაქვს გულში მიწიდან ცამდე სოლივით.
როცა დიღმიდან მოაბიჭებენ გზად შენს საფლავთან გოგო-ბიჭები —
მთვრალეები, ღამით შერხეულეები, ქალაქის ახლოს, ვიწრო შარაზე,
ცხოვრების ფსკერზე მოხრილენი, ნაძირალები და ნაბიჭვრები
და სასაფლაო ცოფიან ვნებას ცოდვებით უტკობს და უღამაზებს.
ქარი შრიალებს და სასიკვდილო მავთულხლართების კვანძით
ზუსუნებს
და ქალაქგარეთ სასაფლაოებს უველას თანაბრად, ერთნაირად ანთებს
მახვილი
მთვარის და ღამის. და გოგონები ილიავებენ ბნელში ძუძუებს
და ღამის სხივზე ძუძუებიდან სინათლესავით ასხლექილი მოჩანს
ნაღველი.
ნაღველი ყოფნის და არყოფნისა, ნაღველი უკვე თავისქალად
ქცეულ კეფათა,
ნაღველი ჩრდილის და სინათლისა, შუალამისას უველაფერს რომ
მძიმედ აწვება,
ისინი დგამენ ბოთლებს საფლავზე და არ იციან რა უნდათ ან რა
დაემართათ
და ბნელ წილში მორიელივით რაღაც არსება უნიათოდ
დაიწლარწება.
რა დაემართა ღამეში ჩაფლულ მავთულხლართების შემზარავ
ზუსუნს
უკან მკვდარ სოფელს და წინ მკვდარ ქალაქს, ძილში რომ სხვაგან
სურს გაიპაროს,
მაგრამ ვილაც რომ სტაცებს სიბნელეს და აწვდის ნაღველს
სხივივით უძღლურს
და ეს სინათლე ანათებს მჭრქალად ჩაწყვარამებულ ჭვარს და
კვიპაროსს.
დილით კი ურია მაგ შენს საფლავზე დაუდევრად ეკლიანი თეთრი
ვარდები
როგორც სიცოცხლის სიმბოლოები და როგორც ვნების ნარჩენები
გადმოსროლილი,
ვილაცის მკერდში ჩაგლეხილი და ჩახეული ჭიბით ნათრევი
და მზის სინათლე მკერდზე გადგას მშვენიერი და უაზრო დიდი
სოლივით.

ქუჩაში

9 მარტი, 1996 წ.

III

ფერნანდო პესოა

(1888-1935)



ფერნანდო პესოას შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უკავია XX საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში...

შეცდომა იქნება, თუ ვიტყვი, რომ ფერნანდო პესოას ჰქონდა რამდენიმე ფსევდონიმი...

არაერთხელ დასმულა კითხვა: რა აიძულებდა პესოას, ასე უცნაურად დაექსაქსა თავისი შემოქმედებითი „მე“?

პესოა

ჭერა შემთხვევითი, და ჭურჩა შემთხვევითი ჭერა გოგონა...

ჩემში იღვიძებს მეორე ხედვა და ისევ იქ ვარ, სხვა ქალაქში...

შეუქცევადი გახსენებები, — დიდი მადლია მაგალითად, შემძლია ვინანო ახლა...

დიდი მადლია, გედვას სული, მიმოხედვა რომ შეუძლია ლექსები, სხვა თუ არაფერი...

მე ვთქვი, რომ, სხვა თუ არაფერი, იწერება-მეთქი ლექსები...

ხომ იყო ერთი, რომელიც ვნახე დიდი ხნის წინ, ის გოგოც ხომ ჭურჩაში ვნახე...

მე კი, რაც არ უნდა ითქვას, არ ვარ იგივე, რაც, კაცმა რომ თქვას, იგივეა, ბოლოს და ბოლოს...

და თუ შენ გინდა მოიკლა თავი, რატომ არ გინდა მოიკლა თავი?

მიდი, გაბედე, თუ საერთოდ შეგიძლია რამის გაბედევა რით არ მოგებურდა ფანტომების მონაცვლეობა...

მოქანცულობა მინც იყოს პატიოსანი, და არ გირჩევ, რომ ჩემსავით სიმთვრალეში უმღერო...

უშენოდ სამყარო იქნება უშენოდ. პირიქით, იქნებ ვინმესთვის ცულიც კია, თუ შენ...

იქნებ ჯობია, მოიკლა თავი... იქნებ სიცოცხლე უფრო მეტი სიბეცე არის, ვიდრე...

რაღვანაც იცი — იმ სხვას, ვინც მოკვდა, აღარაფერი აღარასდროს გაუჭირდება...

კი, სევდაც იცის, გაოგნებაც, რომ მარადისი სადღუმლო უკვე შენია, და რომ...

შეძრწუნებულნი იმით, რომ მოკვდი, შენ კი იქნები მწუხარების დედაპიზეზი...

მერე კი იცის მოსაწყენი ჩასვენება ღია საფლავში. ამის მერე კი შენი სხოვნა ნელ-ნელა კვდება...

წელიწადში მხოლოდ ორჯერ გახსენდებით: იმ დღეს, როცა დაიბადე, და როცა მოკვდი...

და თუ შენ გინდა მოიკლა თავი, ნუ დაუოცნებ... წაუურუე ქენჯნასა და გონების ჩიჩინს...

განა ცხოვრების მხიარულ რიტმში სხვათა ტკივილიც იგულისხმება?

შენ ძვირფასი ხარ შენივე თავისთვის, რადგან შენს თავს გრძნობ მხოლოდ და მხოლოდ...

შენ ძვირფასი ხარ შენივე თავისთვის, რადგან, უბრალოდ, ძვირფასი ხარ შენივე თავისთვის...

ამღვთის მსგავსად, უხილავი შიში გაბატონობს? მაგრამ ხილული რალა არის? განა რა იცი...

(თარგმნილია აწკარვლით) თარგმნა ზვიად რატიანმა



9 მარტი, 1996 წ.



იყოფა

ან იყოფა საბურთალოს რაიონში... მ-11 კორპუსი, მ-2 სადარბაზო, მ-6 საართული... მ-11 კორპუსი, მ-2 სადარბაზო, მ-6 საართული. ტელ: 63-84-95, 85-60-57.

წყალი, გაზი და კანალიზაცია. იატაკი გამზადებულია საპარკეტოდ... დილის მასვე 3-ოთხიანი ბინა ლოჯია. მ-4 კვარტალი, მ-18 კორპუსი, მ-3 საართული.

დილის მასვე 3-ოთხიანი ბინა ლოჯია. მ-4 კვარტალი, მ-18 კორპუსი, მ-3 საართული. 2-ე ბინა იკონიქი ლამაზი. ფასი შეთანხმებით.

ლი, ღია აივნით, ეზოთა. მისამართი: დეკანოზის №9, კაფე „მადელის“ თავზე. ტელ: 95-40-86, იკონიქი მარინა.

მიხეილ (მუზა) თოხაძე. 1992 წლიდან „საპინრეკონსტრუქციო“ ასოციაციაში ასრულებდა მთავარი ინჟინრის მოვალეობას.

შვილო ნათელა! ათ მარტს - შენი დაბადების დღეს სხივარული ხელებიდან თანადიხე წინაშე იქნები.

რელიგიის საგნის მასშტაბულ მარკეტინგის განხორციელების მიზნით, რომ ინგლისში მიღებული იქნება და გამოცდილება გამოიყენონ ქართულ სკოლაში.

შეუღლე ღვინო შევიღებ შენ და გი, შევიღებ შენ და გი, შევიღებ შენ და გი. მშობლები შენი, გვარსი, ღვინო, ელენე მუხომანი.

ავიაკომპანია „ორბი“ ა.შ. ავიაკომპანია „ორბი“ ა.შ. ავიაკომპანია „ორბი“ ა.შ. ავიაკომპანია „ორბი“ ა.შ.

საქართველოს პათოლოგანათომია ასოციაცია, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრისა და ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პათოლოგიური ანატომიის განყოფილების თანამშრომლები.

Table with columns: რაიონი №, მარშრუტი, დღეები, გამგზავრება, ჩასვლა, თვითმფრინავის ტიპი. Lists flight routes and schedules for Orbi.

ირაკლი ბაგურია. იყო ჩვენი კარგი, კეთილი მეგობარი. დღემდე ვლოცო და დარღობ უნდა ვილაპარაკო შენზე.

